სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

2 თებერვალი, შაბათი, 1991 წ.
№ 19 (10 432) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სპორტის სასახლე ● ვახტანგ გალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

დღე პირველი

ჭიდაობის ქართველი მოყვარულები ყოველთვის დიდი ინტერესით მოელიან თბილისის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც, აგერ უკვე 30-ედ იმართება.

ტურნირს წინ უძღოდა პრეს-კონფერენცია, სადაც შეჯიბრების სამდივნოს წარმომადგენლებმა დამსწრეთ გააცნეს ასპარეზობის რეგლამენტი. შემდეგ საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა უპასუხა შეკითხვებს. მან აღნიშნა, რომ საკავშირო ნაკრები იასპარეზებს საუკეთესო შემადგენლობით, არ იქნებიან მხოლოდ ა. ფაძაევი და მ. ხადარცევი, რომლებიც მინსკის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობა რომ საკმაოდ ძლიერია, ეს პირველი დღის პირველსავე წრეში დადასტურდა. 48 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების წარმომადგენელი ხურაბ გონიაშვილი დამარცხდა საკავშირო ნაკრების წევრ ვ. მისაკიანთან, ივანე უუშიტაშვილი პირველ წრეში ისვენებდა. 52 კგ კატეგორიაში ნუგზარ ჭკუასელმა წააგო იაპონელ ხიდეო სასაიამასთან 2:0, ჩვენი მეორე წარმომადგენელი ნუგზარ ნასყიდაშვილი კი ისვენებდა. ამერიკელმა ჯონს ზიგმა წმინდად გაიმარჯვა საკავშირო ნაკრების წევრ ა. ახმედოვთან. 57 კგ კატეგორიაში კარგად დაიწყო ასპარეზობა ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულმა, გორელმა დავით პოღოსიანმა, რომელმაც იოლად დაამარცხა საკავშირო ნაკრების წევრი ა. ბატუევი. დაძაბული გამოდგა ეგია მუსოიანისა და გივი სისაურის ორთაბრძოლა. შარშანდელ ტურნირში გაიმარჯვა ე. მუსოიანმა, ამჯერად კი უპირატესობა გ. სისაურის მხარეზე იყო და ბრძოლაც მან მოიგო. 62 კგ წონაში დავით ბელთაძემ დაამარცხა საკავშირო ნაკრების წევრი ო. მუხტაროვი. მოხდა ისე, რომ წილისყრით 68 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების წევრები: ხვიჩა საბაშვილი და ზაზა გობეჯიშვილი, პაპუნა ქარელიძე და აკოფ აკოფოვი დაწყვილდნენ. გაიმარჯვეს საბაშვილმა და აკოფოვმა. გოჩა მაკოევმა დაამარცხა ო. ოვსეპიანი (საკავშირო ნაკრები), ხოლო გიორგი ხინჩიკაშვილმა ირანელი კ. ალიერზა. 74 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ივანიშვილმა დამატებით დროში დათმო შეხვედრა რ. გრიგორიანთან (საკავშირო ნაკრები), თემურ ბელთაძემ — ირანელ ი. ბუხრუზესთან. ნუგზარ პატურაშვილისა და დავით ხაბელაშვილის ორთაბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ამავე წონაში (უკვე მერამდენედ!) ასპარეზობს სპორტის ქართველ მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი ამერიკელი დეივ შულცი, რომელმაც პირველ წრეში დაამარცხა მონღოლი ტუმანეასტი. დღის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა გაიმართა 82 კგ წონით კატეგორიაში, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ავთანდილ გოგოლიშვილი ამერიკის ჩემპიონს კევინ ჯექსონს ხვდებოდა. ქართველი ფალავნის უპირატესობა აშკარა იყო და მან ქულებით — 5:1 — დაამარცხა მეტოქე. 90 კგ წონაში გაიმარჯვა მამუკა რაზმაძემ, რომელმაც ავთანდილ მგელაძე დაამარცხა. 100 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ხეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ლერი ხაბელოვი, პირველ წრეში მისი მეტოქე გახლდათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი კოეველი ოლეგ ლადიკი. მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო და მას არც გასჭირვებია მეტოქის დამარცხება — 8:0. მძიმე წონაში, სამწუხაროდ, ვერ ვიხილავთ დავით გობეჯიშვილს, მაგრამ ამ წონაში კარგად დაიწყეს ასპარეზობა მერაბ ვალიევმა და ლევან ებანოიძემ, რომლებმაც წმინდად გაიმარჯვეს.

საღამოს გაიმართა ტურნირის საზეიმო გახსნა და გაგრძელდა ასპარეზობა.

გია ბურდული

იხ. გვ. 4 გვ.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





შოტოკან კარატე-დო:

საქართველოს ასოციაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრია!

ვინც საქართველოს სპორტულ ცხოვრებას ადევნებს თვალს, ეცოდინება რესპუბლიკის კარატისტთა მიღწევები. ყველაზე დიდი მონაპოვარი, ალბათ, მაინც ის არის, რომ, საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდა, ხოლო პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ მსოფლიოს V ჩემპიონატზე ტრადიციულ კარატეში საქართველომ დამოუკიდებელი გუნდით იასპარეზა.

ამ დღეებში კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა იაპონიიდან — საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაცია საერთაშორისო ფედერაციის წევრად მიიღეს. გაწევრიანების მოწმობა, რომელსაც ხელს აწერს ფედერაციის პრეზიდენტი ჰიროკაზუ კანაზავა, გვაუწყებს: შოტოკან კარატე-დოს საერთაშორისო ფედერაციის (სკიფ) წესდების თანახმად, ჩვენ ვაღიარებთ თქვენს ასოციაციას, როგორც შოტოკან კარატე-დოს საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ წევრს.

ამგვარი აღიარება [illegible] როდია. მართალია, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 21 დეკემბერს მიიღო დადგენილება, მაგრამ გულშემატკივრებმა იცან, რომ სპორტის ამ სახეობას ჩვენში ჯერ კიდევ სამოცდაათი წლების მიწურულს ჩაეყარა საფუძველი. საკავშირო სარბიელზე პირველ დიდ წარმატებას დაეით ფოცხიშვილმა მიაღწია — 1981 წელს მან კარატეში საკავშირო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ჩემპიონობა მოიპოვა. გია სვანიძემ ამავე წელს საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა. 1982 წელს კი, საქართველოს სპორტსმენთაგან ჯერჯერობით პირველმა და ერთადერთმა, გიორგი ბაკურაძემ დაისაკუთრა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი. 1984 წელს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატზე დავით გიორგანაშვილი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, დეკი მდივნიშვილს კი ბრინჯაოს მედალი ერგო.

მერე კარატე საბჭოთა კავშირში ოფიციალურად აიკრძალა, უფრო მეტიც, სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც კი ისჯებოდა. მიუხედავად ამისა, ხურაბ ლეჟავამ და მისმა თანამოაზრეებმა არალეგალურ პირობებში შეძლეს სპორტული ორგანიზაციის შენარჩუნება, კარატეს ხელახალი ლეგალიზაციის შემდეგ წარმატებათა სერია გაგრძელეს თემურ ცქიტიშვილმა და კახა ბასილიამ. ისინი 1989 წელს აღმოსავლურ ორთაბრძოლებში საკავშირო, პირველობის ჩემპიონები გახდნენ. საქართველოს პირველი ერთგული ჩემპიონატი სპორტულ კარატეში კი 1990 წელს ჩატარდა. ამ ასპარეზობაზე შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის ნაკრები ექსი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. მათგან სამმა ჩემპიონობა მოიპოვა, სამი კი მეორე პრიზიორი გახდა. თავი ისახელეს ასოციაციის ახალგაზრდა კარატისტებმაც. შარშან, წლის მიწურულს, ჭაბუკთა თბილისის პირველობაზე მათ ოთხი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პერუში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს გუნდის შემადგენლობა უმთავრესად შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. შარშან სტამბოლში მოწყობილ საერთაშორისო ტურნირზე („ბოსფორის თასი") გიორგი ბაკურაძემ და სულხან სიდამონიძემ გამოცდილ კარატისტებთან პავერობაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს...

— წარმატება წარმატებად, მაგრამ მაინც როგორ გახდა შესაძლებელი საქართველოს კარატეს კიდევ ერთი სახეობის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანება? — ამგვარი კითხვით მივმართეთ საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს **ხურაბ ლეჟავას.**

— შარშან ოქტომბერში წერილი მივწერეთ იაპონიაში ამ სახეობის

იხ. გვ. 2 გვ.

საით მიდიხართ, სიყრმის კერპებო?

უიღბლო „სასწაული“

თითქმის ყოველდღე ჩვენს ქუჩაზე თხელი, კაფანდარა, ქერა ახალგაზრდა ქალი სწრაფი, სპორტული ნაბიჯით სადღაც მიიჩქარის ხოლმე. მიდის და თითქოს თან სიცოცხლის ხალისი მიაქვს. დიდი ხანია მასთან საუბარი მსურს — იგი ხომ ნინა დრონოვაა, ახლო წარსულში ქართული სპორტული ტანვარჯიშის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, „გუნდური“ მსოფლიო ჩემპიონი, საკავშირო ჩემპიონატების ყველა სინჯის მედლის მფლობელი და არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

... ყველაფერი ისე ჩვეულებრივად დაიწყო, როგორც ხშირად ხდება სპორტში: მაშინ ნინა დრონოვა თითისტოლა გოგონა იყო, თბილისის 97-ე საშუალო სკოლის I კლასში სწავლობდა და მერხის უკან ძლივს მოჩანდა. მაზვილი თვალი ჰქონდათ სპორტული ტანვარჯიშის ღვაწლმოსილ მწვრთნელებს: სერგო ბურჯანაძეს და ვალენტინა კლიმოვას. მთელ სკოლაში სწორედ ეს „ნამცეცა“ შეამჩნიეს და მეორე დღეს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტდარბაზში დაიბარეს. პირველივე ვარჯიშმა სიამოვნება მოჰგვარა გოგონას; მწვრთნელებისგან სიბრძნე რომ იგრძნო, წვრთნას შეუჩვეველი, დაღლილი კუნთები არად ჩაუგდო და ვარჯიში გააგრძელა: ყოველდღიურად დიდხანს რჩებოდა დარბაზში, ექვსი საათის განმავლობაში არ შორდებოდა ტანვარჯიშულ იარაღებს, დღითი დღე ხვეწდა ილეთებს. მწვრთნელებმა მისი ეს მონდომება რომ დაინახეს, უფრო შეიყვარეს და სამომავლოდაც დიდი გამარჯვებები დაუსახეს მიზნად.

დაძაბულმა შრომამ სულ მალე პირველი წარმატება მოუტანა გოგონას რესპუბლიკურ პირველობაზე. ამ გამარჯვებას სხვა მოჰყვა და 1969 წელს 11 წლის ნინა დრონოვამ საკავშირო ნაკრებში დამკვიდრა ადგილი. ახლა კი შეიძლებოდა მსოფლიო მასშტაბის წარმატებებზე ეფიქრათ მწვრთნელებსა და მათ ნიჭიერ შეგირდს.

გაზეთები წერდნენ ნინას შეუდარებელ ნიჭზე, დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ მას, „მომავლის ვარსკვლავს“ უწოდებდნენ. იაპონიის ტრადიციული ტურნირის „ტიუნიტის“ თასის მოპოვებამ უძლიერესის სახელი დაუგდო ნინა დრონოვას. ამ საკმაოდ პრესტიჟულ ასპარეზობაში, რომელშიც აშშ-ის, გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების გუნდები მონაწილეობდნენ, მან ტოლი არავის დაუდო, საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ნომერი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ტურიშჩევაც დაჯაბნა და „ტიუნიტის“ თასი მოიპოვა. იმ დღეებში იაპონური გაზეთები მხოლოდ ნინას სურათებს ბეჭდავდნენ, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მისი უზადო ოსტატობის გამო, „სასწაულ გოგონას“ უწოდებდნენ. ეს ტურნირი, რომელშიც მან ზედიზედ სამჯერ მიიღო მონაწილეობა, იღბლიანი გამოდგა და სამჯერვე გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოში. ამიტომაც იაპონია ნინასათვის ერთერთ სასიამოვნო მოგონებად დარჩა.

იღბალი ვაჩსენეთ. დიახ, ამ უდავოდ ნიჭიერ გოგონას, რომელსაც მართლაც შესწევდა უნარი განეცვიფრებინა მსოფლიო თავისი სპორტული მიღწევებით, უიღბლობა დაეკვება. ჯერ იყო და ორივე ხელი მოიტეხა და ორი წლის განმავლობაში იარაღებს არ გაჰკარებია, მხოლოდ ფეხებს და ტანს ავარჯიშებდა, ფორმა რომ არ დაეკარგა; თაბაშირში ჩასმულმა ხელებმაც ვერ „აიძულა“ საყვარელი საქმე მიეტოვებინა — წინ ხომ მიუნხენის ოლიმპიადა ელოდა. მოგეხსენებათ, სპორტული ტანვარჯიში სპორტის ყველაზე ახალგაზრდული სახეობაა და, შეიძლება ისე დასრულდეს მავანი სპორტსმენის კარიერა, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შანსი არ მიეცეს. ნინას მიეცა ამის შესაძლებლობა და დაუღალავი შრომის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ტრადიციულ ტურნირში — „ოლიმპიური იმედი“ — გამარჯვებით მან



მიუნხენის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. თითქოს წარმატება ახლო იყო, გოგონას სჯეროდა საკუთარი ძალების, მაგრამ ბედმა თუ ერთხელ დაცადა... თვითმფრინავშივე იგრძნო რომ მრიწამლა, ტრაპიდან პირდაპირ სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს, წვეთოვანი დაუდგეს და სისხლი გაუწმინდეს. მიუნხენში ჩასულმა მონაწილეობა ვეღარ მიიღო ოლიმპიელთა ასპარეზობაში. თავისი ცხოვრების ამ მომენტს ნინა დღესაც ტრაგედიად აღიქვამს და უსასოობისაგან ცრემლებიც კი მოსდის.

— მე მეტჯერ აღარ მომეცემოდა ოლიმპიადაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ოლიმპიადა კი ყველა სპორტსმენის ოცნებაა.

სერგო ბურჯანაძე მამით ობოლ გოგონას მამობას, მეგობრობას და მრჩევლობას უწევდა. მიუნხენიდან დაბრუნებული ხელმოცარული შეგირდი გაამხნევა, მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისათვის შეაგულიანა. თანადგომამ და გამხნევებამ იმედი ჩაუსახა ნინას და მართლაც, ვარნაში მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც, მასთან ერთად მისი შეგობარი რუსუდან სიხარულიძეც გამოდიოდა, ნინა დრონოვამ გუნდური ოქროს მედალი მოიპოვა, ინდივიდუალურ ასპარეზობაში კი მხოლოდ მეექვსე იყო, ამ ტურნირზე ნინა საბოლოოდ გაემგზავრა სასკოლო სახელმძღვანელოებით. იმ წელს მან სკოლა დაამთავრა.

— სერგო მასწავლებელი მორალურად მამხნევებდა, იგი არა მარტო ჩემს სპორტულ კარიერაზე ფიქრობდა, პირადი ცხოვრებაც აღელვებდა. ქალბატონი ვალენტინა კი უცხოეთში მოგზაურობის დროს დედასავით გვერდიდან არ შორდებოდა და, ასე განსაჯეთ, გაკვეთილებსაც ერთად ვამზადებდით. რათა პროგრამა არ ჩამორჩენოდა, ეს ორი ადამიანი [illegible] ... ამიტომ არ გავშორდი მწვრთნელთა ამ წყვილს ჩემი სპორტული კარიერის ბოლომდე.

არ ვიცი, დაეკითხა თუ არა შეგირდი ოსტატებს, როცა იგრძნო რომ შეუვარებული იყო და ისე ველარ უდებდა გულს ვარჯიშს. მალე დაოჯახდა კიდეც. ამის შემდეგ იშვიათადღა მონაწილეობდა სხვადასხვა ასპარეზობებში. თუმცა ლონდონში „სანდი ტაიმსის“ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა, კანადიდან ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ჩამოიტანა; 1975 წელს მსოფლიო თასის I გათამაშებაში მეზუთე ადგილზე გავიდა; მომდევნო წელს კი გადაწყვიტა სპორტული სარბიელი მიეტოვებინა.

— ოჯახის შექმნა არ გამხდარა მიზეზი სპორტიდან ჩემი წასვლისა; წარმატებებს სპორტულ ტანვარჯიშში 17 წლამდე თუ მიაღწევ, ახლა კი სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა. ვგრძნობდი, ჩემი შესაძლებლობები ამოიწურა...

ნინას მეგობრული, პატარა ოჯახი აქვს. ალბათ, მართლაც ღირდა ამის გულისთვის სპორტის „გაწირვა“. მისი ქალიშვილი ნატო ცურვაზე დადის, ისე, ჯანმრთელობისთვის. დედამისს მტკიცედ სწამს — თუ ადამიანს ნიჭი არ „უმაგრებს ზურგს“ დიდ სპორტში პრეტენზიები არ უნდა გააჩნდეს. წელს მეექვსეკლასელი ნატო რუსულიდან ქართულ სკოლაში გადაიყვანეს, ახლა მას თავიდან უწევს მშობლიური ენა-ბანის შესწავლა და, ამდენად, სპორტისთვის დრო არც რჩება. დედამ კი... დედამ ბოლომდე მაინც ვერ უღალატა თავის საქმეს: იმ დარბაზში, რომელსაც ნინას ბავშვობის ფოთხილი ნაბიჯები ახსოვს, ქორეოგრაფად მუშაობს.

...თითქმის ყოველდღე ჩვენს ქუჩაზე თხელი, კაფანდარა, ქერა ახალგაზრდა ქალი სწრაფი, სპორტული ნაბიჯით სადღაც მიიჩქარის ხოლმე. მიდის და თითქოს თან სიცოხლის ხალისი მიაქვს. ეს ქალი ნინა დრონოვაა. მას თავისი პატარა, ნამცეცა შეგირდები ელიან...

ინგა ჩახვაშვილი

სურათზე: ნინა დრონოვა 1974 წელს ვარნაში მსოფლიო პირველობაზე ასპარეზობისას.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

საქართველოს ასოციაცია საერთაშორისო ფედერაციის ნევრია!

(დასასრული)



საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, მსოფლიოში ერთ-ერთი აღიარებულ პროფესიონალ ოსტატს, მე-9 დანის მფლობელ ჰიროკაზუ კანაზავას, — გვითხრა მან. — ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა, გავანდეთ სურვილი და ვთხოვეთ გაწევრიანებაში დაგვეხმარებოდა. მალე მივიღეთ გულთბილი პასუხი — — საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი არა მარტო დახმარებას აღგვითქვამდა, არამედ საწევრო შესატანის შეღავათებსაც გვპირდებოდა.

● ჩანს, ჩვენი ცარიელი ჯიბის ამბავი შორეულ იაპონიაშიც კარგად სცოდნიათ...

— ეტყობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავაგზავნეთ შესაბამისი ვალუტა. პრეზიდენტმა კი სიტყვა შეასრულა — საერთაშორისო ფედერაციაში 50-პროცენტიანი შეღავათით გაგვწევრიანა. ამ დღეებში აღიარების მოწმობასთან ერთად მივიღეთ წერილი, რომლითაც გვატყობინებენ, რომ ჩვენ, საერთაშორისო ფედერაციის წევრები, მონაწილეობას მივიღებთ ყველა იმ ღონისძიებაში, რომელსაც შოტოკან კარატე-დოს საერთაშორისო ფედერაცია ჩაატარებს. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში ისინი პროფესიონალ ინსტრუქტორსაც გამოგვიგზავნიან. ერთი სიტყვით, ფართო გზა გაგვეხსნა საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მსგავსად, უფლება გვეძლევა ვიასპარეზოთ დამოუკიდებელი ეროვნული სამფეროვანი დროშით. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ დიდ სიხარულს ჩვენთან ერთად ინაზიარებს საქართველო-იტალიის ერთობლივი საწარმოო გაერთიანება „აისი-ინტერნეიშნლ“-ის კოლექტივი (თავმჯდომარე ოლეგ ჩიქოვანი, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ასოციაციის ჩამოყალიბებამოღონიერებაში. მომავალშიც მათი დახმარების იმედი გვაქვს...

ვაჟა დანელია

სურათზე: საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანების მოწმობის ასლი.

საკავშირო პირველობა კალათბურთში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „ვოლნა“ (ლენინგრადი) 83:77 (45:40).

თბილისი. გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზი. 31 იანვარი.

ტექნიკური უნივერსიტეტი: ლორია (14), სირაძე (16), მზეიძე (29), ბუიღლიშვილი (9), ომიაძე (4), კურტანიძე (4), მაისურაძე (7).

„ვოლნა“ ბეგლაროვა (14), გავრილოვა (19), დეინიჩენკო (2), მოზგოვა (14), ზეინალოვა (13), პანკრატოვა (4), მოლჩანოვა (11), სონნაია (2).

მსაჯები: ვ. მუხინი (ბაქო), ა. იაროცკი (მინსკი).

ლენინგრადელთა გუნდი გასულ სეზონში ერთ-ერთი სტაბილური კოლექტივი გახლდათ პირველ ლიგაში. მართალია, წელს „ვოლნაში“ მოხდა ცვლილებები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გუნდი კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩება.

საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში თბილისელ კალათბურთელ ქალთა გუნდი სწორედ ამ მეტოქეს შეხვდა. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ მძიმე, დაძაბული ორთაბრძოლა იყო მოსალოდნელი, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ და ანგარიშში სხვაობა 7 ქულასაც აღწევდა. მე-10 წუთიდან თბილისელებმა უმატეს ტემპს და ჯერ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, შემდეგ ტაიმის მოგებაც — 45:40.

შესვენების შემდეგ დაძაბულობა არ ჩამცხრალა, მაგრამ ქართველმა კალათბურთელებმა ბოლომდე ენერგიულად იბრძოლეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 83:77.

ძნელია გამოარჩიო ვინმე გამარჯვებული გუნდიდან, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თბილისელთა კაპიტან ნატო ლორიასა და მედეა მზეიძის თამაში — თავიანთი გამოცდილებით მათ ბევრი სარგებელი მოაქვთ გუნდისთვის.



ვოკლედ

სამტრედია

სოფელ ვაზისუბანში მოეწყო სპორტული კომპლექსი ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნებით.

ე. მანჯგალაძის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა რაიონის ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნებს შორის. პირველი ადგილი დაიკავა ნაძალადევის უბნის გუნდმა.

• • •

კოსმონავტების ქუჩის მცხოვრებთა თაოსნობით აქ მოეწყო საფეხბურთო მოედანი.

თერჯოლა

რაიონულ პირველობაზე კალათბურთში გაიმარჯვა თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა გუნდმა.

„იმ დღეზე ვოცნებობ...“

პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა ბევრი ახალი სახელი წარმოაჩინა. მრავალი ფეხბურთელი, რომლებიც ადრე მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, გულშემატკივართა თუ სპორტულ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ასეთ ფეხბურთელთა რიცხვში თამამად შეგვიძლია დავასახელოთ რუსთავის „გორდას“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გია კილასონია, რომელიც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, გასული სეზონის საუკეთესო დებიუტანტად აღიარეს. არც ამ სტრიქონების ავტორისთვის და, ალბათ, არც ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ეს ფაქტი მოულოდნელი არ ყოფილა: გია კილასონიამ გასულ სეზონში რუსთავის „გორდას“ შემადგენლობაში არაერთი მატჩი ჩაატარა მაღალ დონეზე და თავისი ენერგიული და სტაბილური თამაშით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში. აქვე ერთი მომენტის აღნიშვნაც გვინდა — საქმის გახლავთ, რომ კილასონია პირველად არ იცავდა მშობლიური ქალაქის გუნდის დირსებას და სიტყვა „დებიუტანტიც“, ჩვენი აზრით, ცოტა არ იყოს, გვეუცნაურა.

ასეა თუ ისე, გია კილასონიას, რუსთაველ გულშემატკივართა კერპს, ამჟამად პოპულარობა არ აკლია და ეს აღიარება მან დაიმსახურა; დაიმსახურა, პირველ რიგში, თავისი საქმის ფანატიკური სიყვარულით, დაუღალავი შრომით და, რაც მთავარია, მტკიცე ნებისყოფით... დღეს, ბევრი მის ადგილზე, ალბათ, საერთოდ ჩაიქნევდა ხელს. მაგრამ გია კილასონია დიდ ფეხბურთზე ოცნებობდა და აკი მიაღწია კიდეც...

თუმცა, სჯობს, თავად გიას მოვუსმინოთ, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია.

— 8 წლის ასაკში დავიწყე ფეხბურთის თამაში თამაზ კონიაშვილთან, შემდეგ კი გადავედი კონსტანტინე ნაზაროვის ჯგუფში, სადაც მერვე კლასამდე დავყაენ. ამის შემდეგ მიმიწვიეს რუსთავის „მშენებელში“, რომელიც იმ დროისათვის საქართველოს პირველობის II ჯგუფში გამოდიოდა (მწვრთნელად იქ მურმან გოგოლაძე მუშაობდა). ამ გუნდში სკოლის დამთავრებამდე ვითამაშე და, ვფიქრობ, საკმაო გამოცდილებაც შევიძინე. 1985 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, რუსთავის „მეტალურგში“ (ახლანდელი „გორდა“) მოვხვდი, სადაც უფროს მწვრთნელად ჩემი პირველი აღმზრდელი თამაზ კონიაშვილი მუშაობდა და იმ სეზონის მეორე წრე ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე.

● იმ დროს რომელ ამპლუაში გამოდიოდით?

— მარჯვენა ნახევარმცველად. სხვათა შორის, იმ წელს „მეტალურგმა“ საქართველოს პირველობაზე II ადგილი დაიკავა და საკმაოდ ლამაზი ფეხბურთიც აჩვენა. ამ დროისათვის გუნდში გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით გამოდიოდა მთელი ჯგუფი ჩემი თანატოლებისა (1968 წ. დაბადებულნი — გ. ტ.) და გუნდსაც გარკვეული პერსპექტივა გაუჩნდა. მეც მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებდი, მაგრამ...

1986 წელს „მეტალურგი“ საკავშირო პირველობის II ლიგაში უნდა გამოსულიყო და გუნდის ახალმა უფროსმა მწვრთნელმა იმით დაიწყო, რომ სამი ახალგაზრდა, 18 წლის ფეხბურთელები გამოგვიშვა:

— მე, ზაზა გაბუნია და კახი ცხადაძე.

● მიზეზი?

— არ ვიცი, არაფერი უთქვამთ. ეს ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი მორალური ტრავმა იყო, მაგრამ ფეხბურთს მაინც ვერ ვუღალატებდი. დავბრუნდი ისევ „მშენებელში“, თუმცა მომდევნო სეზონიდან, როდესაც „მეტალურგში“ კვლავ თამაზ კონიაშვილი დაბრუნდა, მეც დავბრუნდი და I წრე ვითამაშე...

● რატომ მარტო პირველი?

— იმიტომ, რომ უკვე 3 ივნისს ჯარში წავედი ჩემს ძმასთან ერთად... ჩემმა ძმამაც, ვალერიმ, 1982 წლიდან, ჯერ კიდევ მოსწავლემ, „მეტალურგში“ დაიწყო თამაში, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობასთან რაღაც უსიამოვნება შეემთხვა და იძულებული იყო წამოსულიყო. ასე აღმოჩნდით ძმები ჯარში და, როგორც ადრე იტყოდნენ, „პირნათლად მოვიხადეთ ჩვენი ჯარისკაცული ვალი“...

● ალბათ, ორივე სპორტულ ასეულში მოხვდით?

— სრულიადაც არა. ორივემ ვიმსახურეთ სარაკეტო ჯარებში და არავითარი შეღავათი ჩვენ არ გვქონია.

● კი მაგრამ ფეხბურთი?

— ეს ორი წელი მეც და ჩემმა ძმამაც ერთი ფიქრით გავატარეთ — დიდ ფეხბურთში დაბრუნება გვინდოდა. ხანდახან ქალაქის პირველობაში ვიღებდით მონაწილეობას, ისიც, მხოლოდ თამაშებისთვის გვათავისუფლებდა სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა. თუ თავისუფალი დრო გამოგვიჩნდებოდა, დამოუკიდებლად ვვარჯიშობდით, დავრბოდით კროსებს და ა. შ...

● ჯარის შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი საქმეები?

— ერთი თვე დამოუკიდებლად ვვარჯიშობდი და ბოლოს გადავწყვიტე, მივსულიყავი „მეტალურგში“, სადაც ახალი უფროსი მწვრთნელი მუშაობდა — გივი ნოდია.

გია კილასონია.

ამ უკანასკნელმა ყურადღებით მომისმინა, გამსინჯა და 1989 წლის მეორე წრე ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე, ოღონდ სხვა ამპლუაში — უკანა მცველად.

● გასული წელი თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ თავდაპირველად, ყველაფერი სხვანაირად დაიწყო...

— გეთანხმებით. უმეტესობა „გორდას“ წევრებისა ჩემპიონატის დაწყებამდე 20 დღით ადრე შეიკრიბეთ, ბევრი თვლიდა, რომ ჩვენს გუნდს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა მაღალი ადგილებისათვის ბრძოლაში. მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და, ვფიქრობ, სრულიად დამსახურებულად დავიკავეთ III ადგილი.

პირველ მატჩებში უფრო სათადარიგოთა სკამზე მიხდებოდა ჯდომა და ძირითად შემადგენლობაში არც ისე ხშირად მიწევდა თამაში. არადა, ვგრძნობდი, ფიზიკურად მზად ვიყავი, მაგრამ, ალბათ, ხელმძღვანელობამ ჩემზე უკეთ იცოდა თავისი საქმე. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, გუნდიდან წავალ-მეთქი. თუმცა, მწვრთნელებმა და პირადად ბატონმა გივიმ გადამფიქრებინეს ეს. როცა რუსთაველ „შევარდენი-1906“ დიდი ანგარიშით — 8:1 — დავამარცხეთ და ამ თამაშში 4 ბურთი გავიტანე. ამის შემდეგ ყველა მომდევნო შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ჩავატარე. ისე, ეროვნული ჩემპიონატის 34-ვე შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა და სულ 7 ბურთი გავიტანე. მაგრამ ის შეხვედრა „შევარდენი-1906“-თან, მაინც სხვა იყო — ასეთი ბედნიერი არც ერთი მატჩის შემდეგ არ ვყოფილვარ. ქუჩაში უცნობები მესალმებოდნენ და ერთმანეთს ანიშნებდნენ — აი, ესაა გია კილასონიაო. ეს ჩემთვის ყველაფერი იყო...

● მეც და, ალბათ, სხვებსაც დაინტერესებს თქვენი აზრი განვლილ სეზონზე.

— ეროვნულმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საქართველოში უამრავი ტალანტია. თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. პირველ რიგში, ბაზების კეთილმოწყობაა აუცილებელი — ეს პრობლემა დღესდღეობით ბევრ გუნდს აწუხებს. ასევე აუცილებელია მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლება. მაგრამ რა მოსატანია შარშანდელი სეზონი იმ წლებთან, როცა მეორე ლიგაში ვთამაშობდით. იქ ხომ თითქმის ყოველი გასვლითი მატჩი დამარცხებას ნიშნავდა, განსაკუთრებით საქართველოში. შარშან არანაირი პრეტენზია არ გვქონია მსაჯებთან. თუმცა, ერთი უსიამოვნო შემთხვევა მინდა გავიხსენო, — როცა ბოლო ტურში ლანჩხუთის „გურიას“ ვერცხლის მედლებზე ვეთამაშებოდით. გორდელების აზრით, ასეთი პრინციპული მატჩი მთავარმა არბიტრმა გაცილებით კვალიფიციურად უნდა იმსაჯოს... ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა აგრეთვე გულშემატკივრების საკითხი, რა ნერვები უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს, როცა მთელი ორი ტაიმის განმავლობაში უმიზეზოდ აგინებენ? თუმცა ყველგან ასე როდი იყო — ფოთში, ხაშურში, ზუგდიდში, წყალტუბოში გავიმარჯვეთ და ტაშით გამოგვაცილეს. იგივე შეიძლება ითქვას გალზეც, რომელზეც ლეგენდები დადიოდა, იქ მოგება არ შეიძლებაო... მაგრამ ობიექტურმა გალელმა გულშემატკივარმაც ოვაციებით გამოგვაცილა. ასეა თუ ისე, ვფიქრობ, ქართული ფეხბურთი სწორი გზით მიდის. დარწმუნებული ვარ, წლევანდელი სეზონი უფრო საინტერესო იქნება და ჩვენი გუნდი ეცდება, კიდევ ბევრი სასიხარულო წუთი მიანიჭოს ქართველ გულშემატკივარს, განსაკუთრებით, ობიექტურ რუსთაველ ფეხბურთის მოყვარულთ...

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. სალაპარაკოს რა გამოლევდა, მაგრამ ყველაფრის ერთ საგაზეთო წერილში მოქცევა, მოგეხსენებათ, შეუძლებელიცაა. საუბარში გამოირკვა, რომ გია კილასონია თაყვანს სცემს ინგლისურ ფეხბურთს, ხოლო მისი საყვარელი კლუბი — „ლივერპულია“. რაც შეეხება თავისუფალ დროს, რომელიც ძალზე ცოტა აქვს, ურჩევნია ოჯახში და მეგობრებთან გაატაროს. გიას უპირველესი გულშემატკივრები მშობლები და ძმა არიან. ვალერი ამჟამად გურჯაანის „ალაზნის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. გიას ოცნებაა, ითამაშოს თავის ძმასთან ერთად — ისინი ხომ ერთმანეთს ძალზე „იშვიათად ხვდებიან...

როგორც გია ამბობს, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, ჯერჯერობით ყველაფერს მიაღწია, მაგრამ დარჩა კიდევ ერთი ოცნება — საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურის ჩაცმა და ამიტომ მისივე სიტყვებით გვინდა დავამთავროთ მისი პირველი ინტერვიუ: „იმ დღეზე ვოცნებობ, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვითამაშებ... არადა, ძალიან ძლიერი ნაკრები გვეყოლება. აბა, შეხედეთ — ჩხეიძე, ფირცხალავა, ცხადაძე, კუდინოვი, ტყეშელავა, გოგრიჭიანი, ჭეიშვილი, ჯიშკარიანი, გურული, ფანცულაია, დანელია, ნადირაძე და სხვები ვიხაზე ნაკლები მოთამაშეები არიან? აი, ჩემი ოცნება ხუთრედ ეგ არის — მათთან ერთად ჩამეცვა საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური, მნიშვნელობა არა აქვს — საერთაშორისო მატჩი იქნება ეს თუ ამხანაგური...“

ეხაუბრა ბია ტუხაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კრუიფიც ასე ფიქრობდა

1990-91 წლების სეზონში ესპანეთის საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ მატჩს მატჩზე იგებს და ქვეყნის ჩემპიონობაც, თუ განსაკუთრებული მოულოდნელობა არ მოხდა, სწორედ მას უნდა დარჩეს. გუნდის მიღწევებში, მიმმხილველთა აზრით, დიდი წვლილი გამოჩენილ დანიელ ოსტატ მიხაელ ლაუდრუპს მიუძღვის.

მიხაელ ლაუდრუპს ფეხბურთი მამამ, ამ თამაშის დიდმა გულშემატკივარმა, შეაყვარა. მიხაელი „ბრენდბის“ ჯაბუკთა გუნდში თამაშობდა, საღამოობით კი მამა-შვილი ხშირად საუბრობდა ფეხბურთზე, გამოჩენილ ოსტატებზე. ბიჭს კრუიფი და პელე მოსწონდა, მამა კი ამტკიცებდა, რომ ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელი ბესტი იყო.

გავიდა დრო, მიხაელი „ბრენდბის“ წამყვანი მოთამაშე გახდა, უამრავი ბურთი გაჰქონდა და თამაშის სტილითაც გამოირჩეოდა. ცხადი იყო, მას „ბრენდბში“ დიდხანს არავინ დატოვებდა. 1982 წელს იგი (18 წლისა) დანიის ნაკრებში მიიწვიეს. ლაუდრუპის სადებიუტო მატჩში ნორვეგიელებთან დანიელებმა წააგეს (1:2), მაგრამ ერთადერთი საპასუხო გოლი სწორედ ახალბედამ გაიტანა. ამ დროიდან მოყოლებული, ლაუდრუპი ნაკრების მუდმივი წევრი გახდა. ბევრი მიმმხილველი ფიქრობდა, რომ ცენტრალურ თავდამსხმელთა ასეთი წყვილი (ელკაერი-ლაუდრუპი) ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში. ეს ექსპერტები რომ არ ცდებოდნენ, ევროპის 1984 და მსოფლიოს 1986 წლების პირველობებმაც დაადასტურეს.

მიხაელს თავის განთქმულ პარტნიორთან შედარებით ერთი აშკარა უპირატესობაც ჰქონდა — 7 წლით უმცროსი იყო. გუნდის ვეტერანებმაც იგი ძალიან კარგად მიიღეს. ბერგრენმა ჟურნალისტებს განუცხადა: „იგი ძალიან მაგონებს კრუიფს“. გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ კი წერდა: „ამ (20 წლის) ასაკში ასე კარგად არც კრუიფი თამაშობდა, არც პლატინი, რუმენიგე და სიმონსენი“.

1983 წელს ლაუდრუპმა „ლივერპულიდან“ მიიღო მიწვევა. მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა — მხარეები რაღაც დეტალებში ვერ შეთანხმდნენ. მაშინ დანიელი თავდამსხმელით ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელი ტრაპატონი დინტერესდა. ამ დროს „იუვენტუსს“ უკვე ჰყავდა ორი უცხოელი ულამაზესი: პლატინი დ ბონეკი, ამდენად, ლაუდრუპს ვერ გამოიყენებდა, მაგრამ გადაწყვიტა სხვებისათვის დაესწრო. იტალიაში არის ასეთი წესი: შეიძლება „საკუთარი ფეხბურთელის“ დროებით სხვებისათვის თხოვება. „იუვენტუსიც“ სწორედ ასე მოიქცა—ლაუდრუპი შეიძინა და... რომის „ლაციოს“ ათხოვა! შემდეგში, როცა ბონეკის კონტრაქტის ვადა ამოიწურა, მასთან ხელშეკრულება აღარ განუახლებიათ, „რომას“ მიჰყიდეს და ლაუდრუპმაც „იუვენტუსში“ დაიწყო თამაში. მალე იტალიურ გაზეთებში ასეთ რამეს წაიკითხავდით: „მიხაელ ლაუდრუპმა გაახალგაზრდავა „ბებერი ქალბატონი“ (ასე უწოდებენ იტალიელი გულშემატკივრები „იუვენტუსს“).

„იუვენტუსში“ ახალგაზრდა დანიელმა ძალიან მალე გამონახა საერთო ენა პარტნიორებთან. ამ წლებში გუნდის სული და გული პლატინი იყო. ჟურნალისტის კითხვაზე: რას იტყვით პლატინის შესახებ, მიხაელმა უპასუხა: „ჩემი აზრით, იგი მარადონასთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. ამავე დროს მიშელი ძალზე კარგი, სასიამოვნო ადამიანია. ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა ამ დიდოსტატთან საუბარი“.

სანამ პლატინი „იუვენტუსში“ თამაშობდა, ზოგი სკეპტიკოსი აცხადებდა: ლაუდრუპსა და მის პარტნიორს თავდასხმაში ალდო სერენას, გოლები პლატინის ბრწყინვალე გადაცემების წყალობით გააქვთო. რა თქმა უნდა, ამ დიდი ოსტატის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფრანგი ვარსკვლავი „იუვენტუსს“ გამოეთხოვა, დანიელმა არერთგზის დაამტკიცა, რომ იგი, თუნდაც იტალიის უძლიერესი ლიგისათვის, ფრიად ანგარიშგასაწევი ძალა იყო. სხვა საკითხია, რომ შემდეგ ლაუდრუპს უიღბლობა „დასჩემდა“, არაერთგზის დაშავეს და ლაზარეთშიც „უკრეს თავი“.

ხომ გახსოვთ ბერგრენის სიტყვები, ლაუდრუპი კრუიფს მაგონებსო. ეტყობა, ასე ფიქრობდა თვით კრუიფიც, რომელიც დიდ ხარჯს არ მოერიდა და დანიელი თავდამსხმელი „ბარსელონაში“ მიიწვია. დიახ, ლაუდრუპის თამაშში „ახალი ერა“ დაიწყო. მისი ტალანტი ახლებურად გაბრწყინდა.

„ბარსელონა“ მატჩს მატჩზე იგებს...

გივი თორელი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; შეხვედრები ამაღლებულ, საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს; რაიმე განსაკუთრებულ უხეშობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

„ბონივრული ფასები“

ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა იმსჯელეს მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასის შესახებ. ხანგრძლივი დავის შემდეგ ისინი იმ საერთო დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა „ბონივრული ფასების“ (დასავლური მასშტაბით) დაწესება, რათა მაყურებლები არ დაეფრთხონ. საბოლოო გადაწყვეტილებით, ბილეთების საშუალო ფასი 20 დოლარი იქნება.

ტრაგიკულ მოვლენას მიუძღვნა

ბელგიელმა სკულპტორმა ვან ლესენმა დაასრულა უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც ბრიუსელის სტადიონ „ჰეიზელზე“ მომხდარ ცნობილ ტრაგედიას მიუძღვნა. ამ ქანდაკების შექმნაზე ვან ლესენი რამდენიმე წელს მუშაობდა. საინტერესოა, რომ მოქანდაკემ გამოიყენა 36 ბეტონის ბლოკი, რომელიც „ჰეიზელის“ სტადიონის იმ ავადსახსენებელი მესამე სექტორიდან წაიღო.

„ნამდვილი სამოთხე ყოფილა“

ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კლუბ „როტ ვაისის“ (ერფურტი) ფეხბურთელი მარტინ ბუსე ახლა მალაიზიაში თამაშობს. აი, რა განუცხადა მან ჟურნალისტებს:

— მალაიზია ფეხბურთისთვის ნამდვილი სამოთხე ყოფილა. თუ შეიძლება ასე ითქვას, აქ ჩემი ყველა სპორტული თუ მატერიალური ოცნების სრული რეალიზაცია მოხდა. თამაშებს გაცილებით მეტი მაყურებელი ესწრება, ვიდრე ყოფილ

ჟუნიორის ახალი კარიერა

ბრაზილიელი მცველი ჟუნიორი ახლა 36 წლისაა. იგი რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში“ თამაშობს და მალე აპირებს გამოეთხოვოს ფეხბურთს. ამასობაში კი ჟუნიორმა დაიწყო ახალი კარიერა, როგორც მომღერალმა. იგი ბრაზილიურ ხალხურ თუ საესტრადო სიმღერებს ასრულებს და ამას წინათ წარმატებით გამართა გასტროლები იაპონიაში.

მხოლოდ არიგო საკი

როგორც იტალიის საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მეპატრონემ, სატელევიზიო მაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, ამიერიდან კლუბის ოფიციალურ თვალსაზრისსა და შეხედულებებს ჟურნალისტებთან შეხვედრაში მხოლოდ ერთადერთი კაცი, მწვრთნელი არიგო საკი გამოხატავს. რაც შეეხება ცალკეულ ფეხბურთელებს, რომლებიც ასევე ხშირად ხვდებიან პრესის წარმომადგენლებს, მათ შეუძლიათ მხოლოდ პირადი აზრი გამოთქვან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ლაპარაკობენ სტუმრები



ეტიენ შარტინეტი:

„დაე ბრძოლამ ხალიჩაზე გადაინაცვლოს“

ლოზანელი ბიზნესმენების, მარტინეტების ოჯახს, უფრო ქიმებს, — რაფისა და ეტიენს, მათ ქალაქში მდებარე ფილა-ს (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) შტაბ-ბინასთან ბევრი რამ აკავშირებთ. პირველ ყოვლისა, ის, რომ ისინი უხვად აფინანსებენ ფედერაციას. უფროსი — რაფი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია და შარშან ფილა-ს „მეთვალყურედ“ იყო ტურნირზე. წელს ეს ფუნქცია დაევალა უმცროსს — ეტიენს, რომელიც ფედერაციაში მსაჯთა კომისიას თავკაცობს.

— გულახდილად გეტყვით, — განუცხადა მან ჩვენს კორესპონდენტს, — ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი პირველი ვიზიტი თქვენს შშვენიერ ქალაქში, რომელზეც ბევრი მსმენია, ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში ჩაიკლიდა. თუმცა, არც მთელს მსოფლიოშია სიმშვიდე. მაგრამ, ღრმად მწამს, რომ მსოფლიო მალე მოეგება გონს, უარს იტყვის ყოველგვარ აგრესიაზე და ხალხებს შორის სამუდამო მშვიდობა დაისადგურებს. რაც შეეხება მათ შორის ბრძოლას, დაე, იგი მხოლოდ საჭიდაო ხალიჩაზე გაგრძელდეს...

ივანე იარიგინი:

„ტურნირს არაფერი ემუქრება“

ტურნირის დაწყებამდე გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ ამ ასპარეზობას ჩაშლა ემუქრება. ეჭვი განაპირობა იმან, რომ ამ დღეებში კრასნოიარსკში თითქმის ანალოგიური ტურნირი გაიმართა (იმავე უცხოელების მონაწილეობით) ივანე იარიგინის პრიზზე. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ი. იარიგინი ახლა თბილისშია. მას თბილისის ტურნირის პრეს-კონფერენციაზე ადგილობრივმა ჟურნალისტმა ჰკითხა, თქვენი ტურნირი ხომ არ განდევნის ასპარეზობათა კალენდრიდან ჩვენსასო.

— როგორ გეკადრებათ, — თქვა მან, — თბილისის ტურნირი მყარად ირიცხება ფილა-ს ეგიდით მიმდინარე ასპარეზობათა შორის. მის პოზიციებს ვერავითარი სხვა ანალოგიური შეჯიბრება ვერ შეარყევს, რადგან მსოფლოს ნებისმიერი მოჭიდავის ოცნებაა ჩამოვიდეს აქ და სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს ათლეტებთან მოსინჯოს ძალა.

რაც შეეხება კრასნოიარსკის ასპარეზობას, იგი ხულ სხვა მიზანს ისახავს. უბრალოდ, ბოლო წლებში იქაურ სპორტსმენთა წარმატებებით ციმბირელები იმსახურებენ, რომ იქ საერთაშორისო ტურნირი ჩატარდეს. ეს ხელს შეუწყობს ახალი სახელების გამოვლენას. თბილისის ტურნირს სხვა ვერ შეცვლის, რადგან მოჭიდავე ნამდვილ გამოცდას სწორედ აქ გადის. ამაშია მისი უპირატესობა და ამიტომაც ამ ტურნირშიც მაყურებელი საუკეთესო მოჭიდავეებს იხილავს სარბიელზე.

დოქტორი დეილ თომასი:

„მსოფლიოში პოპულარული“

ორეგონელ დოქტორ დეილ თომასს ტიტულები მოპარბებულად აქვს. ივი არის ამ ქალაქის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის პროფესორი, ჭიდაობის მთავარი მწვრთნელი, ორეგონის შტატის ჭიდაობის კულტურის ცენტრის დირექტორი. თომასი ამერიკელების ნაკრებს ჩამოჰყვა ჩვენს ქალაქში.

— მოგეხსენებათ, წინ ბარსელონის ოლიმპიური თამაშებია. დროა ყველა ქვეყანას ნაკრების სტაბილური შემადგენლობა ჰყავდეს და სწორედ მას სცდიდეს სავარაუდო ოლიმპიელ მეტოქეთა წინააღმდეგ. ჩვენც შეიძლება იფიქვას, სტაბილური გუნდი ჩამოვიყვანეთ. თბილელები უმჩატეს წონაში იხილავენ ზიგ ჯონსს, მჩატეში — ჯონ გიურას, აგრეთვე მათთვის კარგად ცნობილ დეივ შულცს, კრის კემპბელს და სხვებს.

რაც შეეხება თქვენს ტურნირს, იგი ძალზე პოპულარულია შეერთებულ შტატებში და, ერთსულოვანი აღიარებიდ, ასპარეზობის ორგანიზაციისა და შემადგენლობის დონით საუკეთესოა მთელს მსოფლიოში. ამდენად, ჩვენთვის დიდი პატივია მასში მონაწილეობა.

მხიარული ფანქრით ტურნირზე

ვახტანგ კუციას ნახატები.

სპორტული თებერვალი

2-3. მძლეოსნობა. რესპუბლიკური შეჯიბრება ტყორცნებში. **თბილისი.**

2-4. ძიუდო. საქართველოს პირველობა 1973-1975 წლებში დაბადებულ გოგოებს შორის. **ტყიბული.**

2-9. წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატის I ტური. **თბილისი.**

3-10. ტრამპლინიდან ხტომა. საქართველოს ჩემპიონატი. **ბაკურიანი.**

12-16. ძალოსნობა. საქართველოს პირველობა. 1973 წლებში დაბადებულნი და უმცროსები. **ჭიათურა.**

6-25. ხაერთაშორისო შაში. საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის. **თბილისი.**

9-12. ცურვა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი და პირველობა. **თბილისი.**

12-13. ფარიკაობა. რესპუბლიკური ტურნირი. დაშნა, ქალები, **თბილისი.**

13-17. სპორტული ტანვარჯიში. გ. ეგნატაშვილის სახელობის თასის გათამაშება. **თბილისი.**

14-17. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1971-1972 წლებში დაბადებულთა შორის. **ხობუმი.**

14-17. კლასიკური ჭიდაობა. საქართველოს პირველობა 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის. **ხამტრედია.**

14-17. ძიუდო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი, **თბილისი.**

14-21. ტყვიის სროლა. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.**

21-24. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა (1969 წელს დაბადებულნი და უმცროსები). **ბურჯანი.**

21-24. ძიუდო. საქართველოს პირველობა 1974-1976 წლებში დაბადებულთა შორის. **თელავი.**

25.II-2.III. ჩოგბურთი. საქართველოს ზამთრის ღია პირველობა 1976-1978 წლებში დაბადებულთა შორის. **თბილისი.**

27-28. წყალხაოსნილამპრო სპორტი. რესპუბლიკური შეჯიბრება საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში. **ფოთი.**

27-28. ფარიკაობა. რესპუბლიკური ტურნირი. რაპირა. ქალები. **წყალტუბო.**

პრეტენდენტთა მერვედფინალური მატჩები ჰადრაკში

ოინიც ეს იქნება!

რიგაში, გარკვეული გაგებით, სენსაციურად დასრულდა ივანჩუკ-იუდასანის მატჩი. ივანჩუკი რომ თავიდანვე ფავორიტად ითვლებოდა, ამას თვით იუდასანიც არ უარყოფდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იმის მიუხედავად, რომ ლენინგრადელი დიდოსტატი დებიუტში (ორ შემთხვევაში მაინც) კარგ პოზიციებს იღებდა, ივანჩუკი (ძირითადად თავისი ტაქტიკური ხელოვნების წყალობით) შემდგომ ბრძოლაში მაინც აღწევდა უპირატესობას. 4 პარტიის შემდეგ, ანგარიში იყო 4:0 ლეოველის სასარგებლოდ. ეს თითქმის „ფიშერისებური“ შედეგია, მაგრამ ივანჩუკმა, თავისი დიდი ემოციურობისა თუ აღგზნებადობის მიუხედავად, მეხუთე პარტია მაინც სწრაფად დაასრულა ყაიმით, ასე ვთქვათ, კეთილგონიერება გამოიჩინა და „პროგრამა-მინიმუმის“ შესრულებით დაკმაყოფილდა. ვის შეხვდება ივანჩუკი მეოთხედფინალში? ამ კითხვას პასუხი მხოლოდ პრეტენდენტთა ყველა მერვედფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ გაეცემა. ამ ორი წლის წინ კარპოვმა განაცხადა, რომ იანჩუკი მსოფლიო ჩემპიონი გახდება. როდის?

მადრასის მატჩმა ანანდხა (ინდოეთი) და დრეევს შორის ასევე საკმაოდ მოულოდნელი შედეგი მოიტანა. მოულოდნელი აქ არა იმდენად ანანდის გამარჯვებაა, რამდენადაც საბოლოო ანგარიში: 4,5:1,5. ინდოელმა პირველივე პარტია მოიგო, მაგრამ სამი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო: 1,5:1,5, შემდეგ ანანდმა, დიდად ნიჭერმა და პერსპექტიულმა მოჭადრაკემ სხვა უპირატესობებთან ერთად გამოიყენა „საკუთარი კედლების“ ფაქტორიც და ზედიზედ მოიგო სამი მომდევნო შეხვედრა. ფრიად შთამბეჭდავი და დამსახურებული გამარჯვებაა! ცხადია, ინდოეთში დაწინაურდა ნამდვილი დიდოსტატი, ომამდე ფართოდ ცნობილი მოჭადრაკის სულთან-ხანის ღირსეული მემკვიდრე.

ეტყობა, ვერაფერი გადაუღობავს გზას ტიმანისაც, რომელმაც ორი პარტია მოუგო ჰიუბნერს, სამი შეხვედრა კი ყაიმით დაასრულა. „ვინ მოთელის, რამდენჯერ ვიყავი მსოფლიოში № 3 მოჭადრაკე“ — იხუმრა ამასწინათ ტიმანმა. ჰოლანდიელი მოჭადრაკე ამჯერადაც ჩინებულად თამაშობს და მისი მონაწილეობა პრეტენდენტთა ახლანდელ ციკლში უდავო ინტერესს იწვევს. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტიმანს მატჩებისათვის მზადების იდეალური პირობები აქვს.

თუ დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, კორჩნოიმ უნდა დაამარცხოს საჭა (ამჟამად ანგარიშია 3:2). აქ ერთი რამ არის საინტერესო: თუ კორჩნოიმ ეს მატჩი მოიგო და მეოთხედფინალის მონაწილეებს შორის აღმოჩნდა „მეხუთე რეიტინგი“, მაშინ იგი მატჩში უნდა შეხვდეს... კარპოვს (როგორც პრეტენდენტთა შორის უმაღლესი რეიტინგის მქონეს). აი, ღინიც ეს იქნება!

გელფანდი, იმავე რეიტინგის მიხედვით, დღეისათვის მსოფლიოს № 3 მოჭადრაკე, ჯერჯერობით ვერაფერს აღწევს სარაევოში ნიკოლიჩთან (2:2). ვერ გამოირკვა, ვინ თამაშობს უკეთესად ორ მეგობარს — ფუსუპოვსა და დოლმატოვს შორის (2,5:2,5). შორტი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დამარცხდა სპილმენთან, ამჯერად წინ არის (1,5:0,5), უფრო ძლიერ მოჭადრაკედაც ითვლება, თუმცა, ვინ იცის...

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული

საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების უფროსი

თენგიზ ალექსის ძე სისორდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვლადიმერ ადამაშვილი მესამე იყო

მოსკოვში კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრდა ველოსიპედისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი აეროფლოტის პრიზებზე. ასპარეზობა თამამად შეიძლება ჩაითვალოს 23 წლის ოლიმპიური ჩემპიონის, მოსკოველი ალექსანდრე კირიჩენკოს ბენეფისად. ამ ველოსიპედისტის ჭნიჭიერებაში ეჭვს, რა თქმა უნდა, ვერავინ შეიტანს, მაგრამ ბოლო დროს კირიჩენკო სასწაულებს ახდენს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

იგი აქამდე ვიტების უბადლო ოსტატად ითვლებოდა. და ყველა უმაღლეს ტატულსაც ფლობდა ამ სახეობაში. აეროფლოტის ტურნირზე მან ბედი სცადა სპრინტშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, აქაც წარმატებას მიაღწია, თანაც ფინალში დაამარცხა აღიარებული სპრინტერები — მოსკოველი ალექსეი ზიხოვიევი, თბილისელი ვლადიმერ ადამაშვილი და მთავარ პრიზს დაეუფლა. მერე და მესამე ადგილები ზიხოვიევმა და ადამაშვილმა გაინაწილეს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ზომერიკი.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. თბილისი, ს. ერისთავის ქ., 14. ოფსეტური ბეჭდვა „წერილი ბიბლიოთეკა“ ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის ქ. 20.